ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5800152

ნომერი: AR1877406

თარიღი : 09.02.2022

გაცემის თარიღი : 11.02.2022

გაცნობის თარიღი : 11.02.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი, N 12 / ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა, N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ სულხანიშვილი პ/ნ 01009018463
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვ. კორ. 2 ბ. 37

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 იანვრის №5780668 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 09 თებერვალს №AR1877406 განცხადებით მომართა ნიკოლოზ სულხანიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 28

იანვრის №5780668 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ნომენკლატურის ველში მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კლასის მითითებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 28 იანვრის №5780668 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №12/ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა №25-ში, მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.12.044.003), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი. ამასთან, სამსახურში ფიქსირდება 2022 წლის 31 იანვრის №AR1869063 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ზემოაღნიშნული შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემა.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების დროს მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კლასი არასწორად განისაზღვრა და III კლასის ნაცვლად მითითებული უნდა იქნას IV კლასი.
,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების დამტკიცებული წესის დანართი №1-ის მიხედვით, IV კლასის შენობა-ნაგებობას განეკუთვნება ხიმინჯიანი ფუნდამენტის მქონე შენობა-ნაგებობები.
სამსახურის 2022 წლის 28 იანვრის №5780668 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით, დგინდება, რომ საპროექტო შენობა-ნაგებობა თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება IV კლასს, ვინაიდან, შენობა-ნაგებობას გააჩნია ხიმინჯები ფუნდამენტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 28 იანვრის №5780668 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 იანვრის №5780668 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანების ნომენკლატურის ველში „III კლასი“-ს ნაცვლად დაფიქსირდეს „IV კლასი“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 იანვრის №5780668 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 იანვრის №5780668 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.